ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1825597

ნომერი: AR1295374

თარიღი : 20.03.2015

გაცემის თარიღი : 06.04.2015

გაცნობის თარიღი : 06.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის

12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2015 წლის 20 მარტის AR1295374 განცხადებით მომართა იბმ ,,აბანოთუბანი 2006"-ს წარმომადგენელმა თეიმურაზ ღვანიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი - კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის, ი.ბ.ა. "აბანოთუბანი 2006"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 24 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა იბმ ,,აბანოთუბანი 2006".

განმცხადებლის განმარტების თანახმად, -3.30 ნიშნულზე სარდაფის დონეზე, ამხანაგობის წევრების მოთხოვნით სარდაფების გარდა ნაწილობრივ მოწყობილია ავტოპარკინგი, რაც ასევე ასახულია AR1247189 განცხადებით -3,30 ნიშნულზე წარმოდგენილ გეგმაზე. აგრეთვე, 12.12.2014წ. N1635999 ბრძანების თანახმად საზაფხულო ფართის მაჩვენებელი ფიქსირდება 745,7, რეალურად კი წარმოადგენს 746 კვ.მ, აღნიშნული უზუსტობა გამოწვეულია +8.70 ნიშნულის გეგმებზე N5 ბინაში საზაფხულო ფართის არასწორად გამოთვლით, რისი შედეგადაც 12.12.2014წ. N1635999 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, საზაფხულო ფართის მაჩვენებელი, რეალური ფართობის ნაცვალად (746 კვ.მ), დაფიქსირდა 745,7 კვ.მ.

შესაბამისად, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებისთვის, -3,30 ნიშნულზე წარმოდგენილი გემის დართვას, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვილების შეტანას და მათი შემდეგი სახით დაფიქსირებას:

1. საზაფხულო ფართი _ 746,0 კვმ
2. სარდაფის ფართი _ 342,0 კვმ
3. ავტოსადგომების ფართი _ 641,9 კვმ

სამსახურმა განმცხადებლის მიერ 2015 წლის 20 მარტის AR1295374 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტენიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანების ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებელში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საზაფხულო ფართი _ 746,0 კვმ
2. სარდაფის ფართი _ 342,0 კვმ
3. ავტოსადგომების ფართი _ 641,9 კვმ

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებას დაერთოს 2015 წლის 20 მარტის AR1295374 განცხადებით წარმოდგენილი -3.30 ნიშნულის გეგმა. ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

3.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 12.12.2014წ. N1635999 ბრძანებასთან ერთად;

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.